04.12.2012

ბიზნეს სექტორი

ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2012 წლის III კვარტალში საწარმოთა **მთლიანმა ბრუნვამ** 10.9, ხოლო **პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ** – 5.9 მილიარდი ლარი შეადგინა.

მთლიანი ბრუნვა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი ბიზნესი – 81.0 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 8.3 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 10.7 პროცენტი.

ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა **პროდუქციის მთლიანი გამოშვების** შემთხვევაში:

- მსხვილი ბიზნესი – 80.9 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 9.0 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 10.1 პროცენტი.



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა **საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა** კვარტალის განმავლობაში 8.5, ხოლო **გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა** - 5.1 მილიარდი ლარი შეადგინა.

საქონლისა და მომსახურების მთლიანი ყიდვები საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი ბიზნესი – 81.1 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი 8.0 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 10.9 პროცენტი.

თითქმის იდენტური ვითარებაა **გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებ-ზეც**:

- მსხვილი ბიზნესი – 80.1 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 7.7 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 12.2 პროცენტი.

საწარმოთა მიერ განხორციელებულმა **მთლიანმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში** შეადგინა 275.9 მილიონი ლარი, რაც საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი ბიზნესი – 79.3 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 11.3 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 9.4 პროცენტი.

საწარმოებში **დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ** 516.6 ათასი კაცი შეადგინა, რომელთაგან 36.7 პროცენტი ქალია, ხოლო 63.3 პროცენტი - კაცი.

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი ბიზნესი – 56.9 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 16.2 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 26.9 პროცენტი.

მსგავსი ტენდენციაა სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის საწარმოს ზომის მიხედვით განაწილებაშიც:

ქალები

- მსხვილი ბიზნესი – 51.5 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 18.3 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 30.2 პროცენტი.

კაცები

- მსხვილი ბიზნესი – 60.1 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 15.0 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 24.9 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



საწარმოებში **დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ** 498.1 ათასი კაცი შეადგინა, რომელთაგან 36.8 პროცენტი ქალია, ხოლო 63.2 პროცენტი - კაცი.

დაქირავებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი ბიზნესი – 58.9 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 16.4 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 24.7 პროცენტი.

დაახლოებით მსგავსი ტენდენციაა სქესის მიხედვით დაქირავებულთა მთლიანი რაოდენობის საწარმოს ზომის მიხედვით განაწილებაშიც:

ქალები

- მსხვილი ბიზნესი – 53.2 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 18.5 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 28.3 პროცენტი.

კაცები

- მსხვილი ბიზნესი 62.2 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 15.2 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 22.6 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესში დაქირავებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



საწარმოთა **მთლიანმა დანახარჯებმა პერსონალზე** შეადგინა 1185.0 მილიონი ლარი, რომლის განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგია:

- მსხვილი ბიზნესი – 72.3 პროცენტი,
- საშუალო ბიზნესი – 13.5 პროცენტი,
- მცირე ბიზნესი – 14.3 პროცენტი.

საშუალო თვიურმა ხელფასმა ბიზნეს სექტორში შეადგინა 787.4 ლარი, მათ შორის ქალების - 523.8 ლარი. საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 964.0 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 650.1 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 457.4 ლარი.

საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 49.2 პროცენტი,
- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 14.5 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 11.3 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 10.6 პროცენტი,
- „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ - 4.0 პროცენტი.

საქმიანობის სახეების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში პრევალირებენ „დამამუშავებელი მრეწველობა“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 25.2 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 20.9 პროცენტი,
- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 16.1 პროცენტი,

- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 13.5 პროცენტი,
- „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ - 6.6 პროცენტი.



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში პრევალირებენ „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 20.4 პროცენტი,
- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 16.3 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 12.8 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 11.2 პროცენტი,
- „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“ – 9.8 პროცენტი.

განსხვავებული ტენდენციაა სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის საქმიანობის სახეების მიხედვით განაწილებაში:

თუმცა **დასაქმებულ ქალთა** მთლიან რაოდენობაშიც პრევალირებენ „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 25.4 პროცენტი,
- „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“ – 19.0 პროცენტი,
- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 14.2 პროცენტი,
- „სასტუმროები და რესტორნები“ – 8.0 პროცენტი,
- „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ – 8.0 პროცენტი.

დასაქმებულ კაცთა მთლიან რაოდენობაში კი პრევალირებენ „მშენებლობა“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „მშენებლობა“ – 19.0 პროცენტი,
- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 17.5 პროცენტი,
- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 17.5 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 13.1 პროცენტი,
- „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ – 10.4 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს ცალკეულ სექტორებში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 70.7 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 5.8 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.7 პროცენტი,
- იმერეთი – 5.5 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.0 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში პრევალირებენ კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 63.8 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 8.5 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 7.1 პროცენტი,
- იმერეთი – 5.9 პროცენტი,
- შიდა ქართლი – 3.8 პროცენტი.

გამოშვებას:



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ხასიათდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 56.4 პროცენტი,
- იმერეთი – 8.9 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 7.6 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 7.1 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 5.7 პროცენტი.

მცირედ განსხვავებული ტენდენციაა სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის რეგიონების მიხედვით განაწილებაში:

დასაქმებული ქალები:

- ქ. თბილისი – 57.1 პროცენტი,

- იმერეთი – 8.6 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 7.7პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 6.7 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 5.8 პროცენტი.

დასაქმებული კაცები:

- ქ.თბილისი – 56.0 პროცენტი,
- იმერეთი – 9.1 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 7.6 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 7.4 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 5.7 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს ცალკეულ რეგიონებში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. 2012 წლიდან განხორციელდა ბიზნეს რეგისტრის განახლება და საწარმოთა მოცვის ხარისხის გაუმჯობესება, რამაც განაპირობა საწარმოთა დეკლარირებული მონაცემების ცვალებადობა.
2. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

   - საქმიანობის სექტორები J, L, P, Q,
   - 52.62.2 (საცალო ვაჭრობა ბაზრებსა და ბაზრობებზე)

3. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

   - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
   - ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

4. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

   1. შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
   2. შპს „საქართველოს ფოსტა“
   3. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
   4. სს „სილქნეტი“
   5. შპს „საქართველოს რკინიგზა“
   6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
   7. სს „საქენერგორემონტი“
   8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

5. რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია:**

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev. 1.1.)

სექციების ნუმერირება და დასახელებები

A	„სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა“
B	„თევზჭერა, მეთევზეობა“
C	„სამთომოპოვებითი მრეწველობა“
D	„დამამუშავებელი მრეწველობა“
E	„ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება“
F	„მშენებლობა“
G	„ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“
H	„სასტუმროები და რესტორნები“
I	„ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“
J	„საფინანსო საქმიანობა“
K	„ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“
L	„სახელმწიფო მმართველობა“
M	„განათლება“
N	„ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“
O	„კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა“
P	„შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის“
Q	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა“